

ქართული ხელოვნების და კალიგრაფიის

საერთაშორისო გამოფენა

ინგა მჭედლიშვილი და სალომე ბრეგვაძე არიან ის ადამიანები ვინც ორგანიზება გაუწიეს პროექტს “ქართული დღეები მილანში”. პროექტი სახალხო და კულტურული დიპლომატიის განხორციელების თვალსაჩინო მაგალითია იტალიასა და საქართველოს შორის.

იდეის ავტორები წლებია საქმიანობენ და ცხოვრობენ მილანში, ბუნებრივია მათთვის ეს ქალაქი ძალიან ახლობელია.

საქართველოს კულტურას უძველესი ცივილიზაციების სიაში შედის. აქ ცხოვრობდა პირველი ევროპელი ადამიანი. არგონავტების და ოქროს საწმისის მითიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ძველ კოლხეთში ხდებოდა. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, სამი ქართული ძეგლია შეტანილი, ესენია: ქართული პოლიფონია, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი, რომელსაც დღემდე ვიყენებთ, და ქართული ანბანი, უნიკალური და გამორჩეული მსოფლიოში არსებულ 14 ანბანთა შორის. ქართული კულტურის გაცნობის სურვილთან ერთად დაიბადა პროექტის იდეა, თუმცა ამჯერად მთელი ყურადღება „თბილისს“, საქართველოს დედაქალაქს, და ქართულ ანბანს დაეთმო.

„პირველ თემად, რამაც შეგვკრიბა მილანელი ქართველები, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, ჩვენი თბილისი იქცა მისი მრავალფეროვანი, საინტერესო კულტურების სინთეზით, ძველი უბნებით, შემორჩენილი კოლორიტული სახლებით და ცხადია მხატვრებიც ამ პრინციპით შეირჩა“ ყველიან პროექტის ორგანიზატორები ინგა და სალომე.გამოფენაზე სტუმრებმა ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი მხატვრების მიერ სხვადასხვა თვალთ დანახული თბილისი და ანბანი იხილეს.

გიორგი სისაური

“ანბანი”

38 იდენტური ზომის ნამუშევარი

ფურცლოვანი ოქროთი და შუშის თვლებით.

✓ გურამ ხეცურიანი

"სახლი ძველ თბილისში", "ზამთარი", "ღამე"

✓ თამარ მაღლაფერიძე

"ქვევრი", "თამადა" "ქვევრი".

✓ ბუკა მებუკე

"კიბე ვერაზე", "აივანი", "დეტალი", "წითელი სახლი"

"ძველი ძველ უბანში"

✓ ირაკლი ჩიქოვანი

"რუსთაველის გამზირი", "მარჯანიშვილი", "თბილისის ოპერა"

თეკლა მელაძე

"ველოსიპედი", "ძველი თბილისი"

✓ თამარ თოდაძე

"ბამბის რიგი"

მარიამ კილაძე

‘თბილისი’, ‘გაზაფხული’

BOO Jewellery_ს სამკაული

კოლექციიდან "მომავალი".

დევიზით "შემოგვიერთდით აწმყოდან მომავლამდე"..

მარია ჭიჭიაშვილი სიყმაშვილის

მრავალფეროვანი მინიატურული სცენები

პოლიმერული თიხისგან.

ყველაზე პატარა

412 გვერდიანი ხელნაკეთი 'ვეფხისტყაოსანი' გამომცემლობისგან 'მინიატურა'

ლაშა დევდარიანის

ხავერდოვანი, ილუსტრირებული მოდელი

XVII საუკუნის კალიგრაფის, მამუკა თავაქარაშვილის 'ვეფხისტყაოსნის' მინიატურების მიხედვით.

M. G. მეგი გაბუნიას დახვეწილი მოდელები

ტრადიციული სამოსისა თანამედროვე ელემენტებით, კოლექციიდან 'ქართული'

სწორედ ქართული ხელოვნებისა და კულტურის მთელი მშვენიერების წარმოდგენის, პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა და დაფუძნდა მილანში ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია „MilanumM&T“. პროექტით "თბილისური დღეები მილანში", მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამაში 'დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა' და გაიმარჯვა.

მსგავს პროექტებს, როგორც სახალხო დიპლომატიას, დიდი ძალა აქვს და უმნიშვნელოვანესია ეროვნული იდენტობების შესანარჩუნებლად ისევე როგორც ერთა შორის მეგობრობის გასაღრმავებლად. კულტურული ასოციაცია "მილანიუმი" მომავალშიც, მიზნად ისახავს ქართველი ხელოვანი ადამიანების და მათი შემოქმედების გაცნობას საქართველოს საზღვრებს გარეთ გამოფენების, შეხვედრების, კულტურული ღონისძიებების სახით. პროექტს გვერდში ედგნენ: ენათმეცნიერი მანანა ტოპაძე; პოეტი და მთარგმნელი, ნუნუ გელაძე; მთარგმნელი ქეთი ჩარკვიანი; შოთა გოგიშვილი რომელმაც იზრუნა 'მილანიუმის' კატალოგის, სარეკლამო ბროშურებისა და ბარათების დახვეწილი დიზაინისთვის.

ღვინის ქართული მარნები

* საბა ხუციშვილი

'შუანო' დისტილატი.

* ლაშა ლომიძე

'ბარული'

* ლევან თარხან მოურავი

'გულბაათის მარანი'

პროექტის თანასპონსორები არიან

'მტევინო' და ქალბატონ დიანა რაჭველიშვილი.

17 ოქტომბერს დასრულდა პროექტი - „თბილისური დღეები მილანში „

ღონისძიებაზე გვიან საღამომდე არ წყდებოდა ქართული კულტურის გაცნობის მსურველთა რიგი.

„ ქართველი სტუდენტები და მილანში მცხოვრები წარმატებული ქართველები, იტალიელ მეგობრებთან ერთად გვსტუმრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი გამოფენა, ასე დატვირთული საინტერესო შეხვედრებითა და ჩართულობებით, სადაც ქართულმა ხელოვნებამ, სიტყვამ, ფერმა, ანბანმა იბრწყინა მთელი თავისი ბრწყინვალეობით, მილანში არ შემდგარა და პირდაპირ მოითხოვეს, რომ არ გავჩერდე და კვლავ საინტერესო გამოფენები და საღამოები მოვაწყოთ! ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ უმაღლესი ხარისხის პროექტი განხორციელდა! გადავლახავთ უდიდესი შრომის შედეგად გამოწვეულ დაღლილობას და სამომავლო გეგმებზე ფიქრსაც შევუდგებით! „ ყვებიან ორგანიზატორები ინგა და სალომე.

ავტორი: სალომე წერეთელი

Arte e Calligrafia Georgiana International art exhibition

È stata presentata, dal 15/10/2022 al 17/10/2022, la mostra internazionale dedicata all'Arte e alla Calligrafia Georgiana. L'evento, "Le giornate georgiane a Milano", organizzato dalla neonata associazione culturale italo-georgiana "Milanium M&T", creata e fondata a Milano, ha lo scopo di presentare e divulgare tutta la bellezza dell'arte e della cultura georgiana.

Gli ideatori del progetto, Inga Mchedlishvili e Salome Bregvadze, lavorano e vivono a Milano da diversi anni, e sentono ormai questa città come casa, tanto da voler organizzare un omaggio alla propria terra d'origine proprio qui. "Quella georgiana è una delle civiltà più antiche e importanti. Il primo uomo europeo ha vissuto in quelle terre, e tre pilatri della cultura e tradizione georgiane sono inclusi addirittura nell'elenco del patrimonio culturale immateriale dell'UNESCO, vale a dire: la polifonia georgiana, il più antico metodo tradizionale della produzione del vino da Kvevri, praticato ancora oggi, e l'alfabeto georgiano, particolare ed unico tra i 14 alfabeti del mondo" affermano.

Il progetto è nato dal desiderio di raccontare la cultura georgiana al mondo, concentrando tutta l'attenzione verso "Tbilisi", la capitale della Georgia, e l'alfabeto georgiano, mostrando il tutto con occhi diversi, quelli di giovani e talentuosi artisti georgiani. "Con la sua sintesi di culture tra le più diversificate "Tbilisi", capitale della nostra patria, è stato il punto di convergenza che ha riunito i georgiani Milanesi. Vecchi quartieri, case antiche conservate..." proseguono Inga e Salomè.

L'evento ha riscosso molto successo, tra i milanesi e non. "Gli studenti georgiani ed i georgiani di successo che vivono a Milano ci hanno fatto visita con i loro amici italiani e hanno affermato che non esiste un'altra mostra del genere, così ricca di scambi e attività interessanti, in cui l'arte, la parola e l'alfabeto georgiano brillavano anche in una città così lontana come Milano". L'intenzione dell'associazione è di non fermarsi, ma anzi, presentare gli artisti georgiani e la loro creatività fuori dai confini, organizzando in futuro delle mostre e serate interessanti dedicate al tema,

Con il progetto "Days of Tbilisi in Milan", "MilaniumMiT" ha partecipato al programma di sovvenzioni del Ministero degli Affari Esteri della Georgia "Promotion of Diaspora Initiatives" ed è stato premiato.

Progetti come questo sono l'attuazione della diplomazia culturale, hanno un grande potere e sono essenziali per preservare le identità nazionali e per approfondire l'amicizia e la collaborazione costruttiva tra le nazioni.

Il progetto è stato sostenuto da: Manana Topadze, linguista; Nunu Geladze, poeta e traduttore; Qeti Charkviani, traduttrice; Shota Gogishvili, che si è occupata del design sofisticato del catalogo "Milnium", delle brochure pubblicitarie e delle card.

Author: Salomè Tsereteli